ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 58-62

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბერის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბერის №33-99 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის" მე-10 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„12. ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და 2^1 პუნქტების შესაბამისად გადახდილი სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა უფლებამოსილი პირის წერილობითი მომართვის შემთხვევისა, რომელიც ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებისა და 2^1 პუნქტის „გ"-„ე" ქვეპუნქტების შესაბამისად პარკირების საფასურის შემენიდან

არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს განხორციელდება. ასეთ შემთხვევაში გადახდილი პარკირების საფასური ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო პარკირების საფასური უნდა გაუქმდეს მომართვისთანავე.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე